



**EURASIA
PARTNERSHIP
FOUNDATION**



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



MDF
მედიის განვითარების ფონდი

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მედია მონიტორინგი

2010 წლის 19 - 25 თებერვალი

ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების გაშუქება

რაოდენობრივი კვლევა

2010 წლის 19-დან 25 თებერვლის ჩათვლით მედია-საშუალებებში (7 საერთო-სახელმწიფოებრივი, 8 რეგიონული გაზეთი, 5 ტელევიზია) უმცირესობების გაშუქების სულ 7 ფაქტია მოკვლეული. ამ 7 ფაქტიდან 1 ნეგატიური, 1 პოზიტიური და 5 ნეიტრალური გაშუქების მაგალითებია.

მოკვლეული 7 ფაქტიდან ექვსი ეთნიკურ უმცირესობებს ეხებოდა და 1 რელიგიურს. ეთნიკური უმცირესობების გაშუქების 6 ფაქტი ასე განაწილდა: 1 პოზიტიური და 5 ნეიტრალური გაშუქება. რელიგიური გაშუქების 1 ფაქტი ნეგატიური ხასიათისა იყო.

საანალიზო პერიოდში უმცირესობები გააშუქა ხუთმა გაზეთმა 6 სტატიაში. ამ 6 სტატიაში მოკვლეული ხუთი ფაქტი, რომელიც ეთნიკურ უმცირესობებს ეხებოდა, ნეიტრალური შინაარსისა იყო, ხოლო ერთი, რელიგიურ უმცირესობაზე, ნეგატიური. მონიტორინგის ქვეშ მყოფი ხუთი ტელევიზიიდან უმცირესობები მხოლოდ ერთმა ტელეარხმა გააშუქა. სამაუწყებლო მედიაში (მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებები) მოკვლეული იქნა 1 ფაქტი, რომელიც პოზიტიური შინაარსისა იყო.

აღსანიშნავია, რომ საანალიზო პერიოდში (19 - 25 თებერვალი), მონიტორინგის ქვეშ მყოფი ხუთ ტელევიზიაში არ გასულა არც ერთი სიუჟეტი რელიგიური უმცირესობების შესახებ მაშინ, როდესაც დღის განმავლობაში ამ ტელევიზიების საინფორმაციო გადაცემებში მართლმადიდებლობის გაშუქების ფაქტებმა ჯამში 28 შეადგინა.

ასევე აღსანიშნავია, რომ პროფესიული სტანდარტების დარღვევების შემცირების ტენდენცია შენარჩუნებულია საანგარიშო პერიოდშიც. პროფესიული სტანდარტი მხოლოდ ერთ გაზეთში დაირღვა.

თვისობრივი კვლევა

თვისობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილი იქნა მედია საშუალებების მიერ შემდეგი სტანდარტების დარღვევის ფაქტები:

დისკრიმინაციული ტერმინოლოგია

1. რელიგიური უმცირესობის პრობლემების ნეგატიურ გაშუქებად შეიძლება ჩათვალოს გაზეთ „მთელი კვირის“ №045 (6271) (22 თებერვალი, 2010) სტატია „15 წლის წინ მეც თურქს მეძახდნენ და მაშინ არ ვიცოდი, რომ ქართველი ვიყავი“.

„საქართველოში ჩამოსახლებული თურქი მესხებისთვის რელიგიურ ნიადაგზე შეიძლება პრობლემები შეიქმნას. ხომ შეიძლება დეპორტირებულ ე. წ. თურქ მესხებს მეჩეთები აუშენონ? რატომაც არ შეიძლება რამდენიმე მეჩეთი აშენდეს? ხულოს რაიონში თუ არის მეჩეთი, რატომ არ უნდა აშენდეს გორში? მე ვფიქრობ, ამას უნდა შეეგუონ საქართველოში, რომ დეპორტირებული მესხები როცა ჩამოვლენ, მეჩეთებსაც ააშენებენ. ისინი ხომ მაჰმადიანები არიან? საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა 80% კი მაჰმადიანია – 7 მილიონი ლაზი თურქეთში, 4 მილიონი ქართველი ასევე თურქეთში, 1 მილიონი-ირანში, ნახევარი მილიონი დეპორტირებული მესხები სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობენ.“

მეჩეთების პრობლემა საქართველოში არ უნდა დადგეს. თუ რეპატრაციის პროცესი კარგად გაიარეს ადამიანებმა, შეიძლება მეჩეთების გახსნა საჭირო აღარ იყოს.

„დეპორტირებული მესხები საკუთარ სამშობლოში უუფლებონი ვართ, სამაგიეროდ ჩინელებს არა აქვთ პრობლემები, არც სხვა ეროვნების ადამიანებს. ყოველ ნაბიჯზე გვავიწროვებენ. თუკი ყოველდღე ასობით ჩინელი ჩამოდის და მიდის, თანაც არალეგალურ ბიზნესში არიან ჩართული და ყველაფერს აკეთებენ, ჩვენ რა დავაშავეთ?“

„რეპატრირებულმა უნდა გაიაროს გასაუბრება ნებისმიერ თემაზე; ეს ეხება ეროვნებასა და ენის საკითხს. საქართველოდან გასახლებულთა შორის 7 ათასი აზერბაიჯანელია, 3 ათასი ქურთი, 2 ათასი-ხიმშილი, დანარჩენი კი აჭარლები და მესხები. საქართველოში დასაბრუნებლად უპირატესობა ქართული წარმოშობის მესხებს აქვთ. სამწუხაროდ, საქართველომ არ დააბრუნა ის ადამიანები დროზე და ბევრი მათგანი ბოლომდე გათურქდა.“

15 წლის წინ მეც თურქს მეძახდნენ და მაშინ არ ვიცოდი, რომ ქართველი ვიყავი და ეს ყველაფერი მაშინ გავიგე, როდესაც საქართველოში ჩამოვედი“.

ეს გაშუქება შეიძლებოდა ნეიტრალურად ჩათვლილიყო, რომ არა ტერმინი „თურქი მესხები“, რომელიც დისკრიმინაციულად მიიჩნევა. ამ ადამიანთა ჯგუფი უნდა მოიხსენიებოდეს დეპორტირებულ თუ რეპატრირებულ მესხებად ან მაჰმადიან მესხებად. სამწუხაროდ, ტერმინი „თურქი მესხები“ საკმაოდ გავრცელებულია და ხშირად გამოიყენება ოფიციალური პირების მიერაც. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტატიის ავტორმა და, შესაბამისად, რედაქციამ, არც იციან, რომ თურქ მესხად მოხსენიება შეიძლება შეურაცხყოფელი იყოს რეპატრირებული მესხებისთვის. აღნიშნული პუბლიკაცია ასევე დისკრიმინაციულ კონტექსტში მოიხსენიებს ჩინელებს.

ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გაშუქება სტანდარტების დაურღვევლად

2. ეთნიკური უმცირესობები პოზიტიურად იქნა გაშუქებული „იმედის“ 20 საათიან „ქრონიკაში“. სიუჟეტი ეხებოდა ვანკუვერის ოლიმპიადაზე დალუპულ ქართველ სპორტსმენს:

„ტრაგედია, რომელმაც ქართველები და ოსები გააერთიანა – ვანკუვერის ოლიმპიადაზე დალუპული ნოდარ ქუმარიტაშვილის ოსი ნათესავები 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ჩრდილოეთ ოსეთიდან საქართველოში პირველად სამხედრო ბაკურიანში ჩადიან. ომი ყველაფერს ანგრევს, თუმცა გაჭირვებაში ახლობლის გვერდში დგომა, არც ქართველებისთვის და არც ოსებისთვის უცხო რუსული აგრესიის შემდეგაც არ არის. სწორედ ამ ურთიერთობის სიძლიერემ ჩამოიყვანა ტრაგიკულად დალუპული ქართველი ოლიმპიელის ოჯახთან მათი ოსი ნათესავები.“

3. გაზეთ „ალიაში“ (№21 (2458): 25-26 თებერვალი, 2010) გამოქვეყნებული სტატია „აბიტურიენტები გამოცდებს მშობლიურ ენაზე ჩააბარებენ“ ნეიტრალურად აშუქებს ეთნიკური უმცირესობების პრობლემას.

„აზერბაიჯანული და სომხურენოვანი საშუალო სკოლების კურსდამთავრებულები უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდებს მშობლიურ ენაზე ჩააბარებენ. ეს განცხადება სახალხო დამცველის ოფისში გამართულ შეხვედრაზე სახალხო დამცველმა გიორგი ტულუშმა გააკეთა. მრგვალ მაგიდასთან საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებები და დამატებები განიხილეს. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელმაც აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი სკოლა დაამთავრა, დღეიდან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამით შეუძლიათ სარგებლობა. მოქალაქეებმა ერთიანი ეროვნული გამოცდა მხოლოდ ერთ საგანში, ზოგად უნარ-ჩვევებში აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე უნდა ჩააბარონ. „უმაღლესი განათლება წარმატებული მომავლისთვის“ ძალაში შევიდა და უკვე 2010 წელს ახალგაზრდებს საშუალება აქვთ, ამ შესაძლებლობით ისარგებლონ.“

4. ნეიტრალურად არის გაშუქებული საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხების პრობლემები გაზეთ „ჯორჯიან ტაიმის“ (№07 (573): 25 თებერვალი - 4 მარტი, 2010). სტატიაში „სომხები მანიფესტაციებს გამართავენ“.

„ჯავახეთში მცხოვრები სომხების უფლებების დასაცავი მანიფესტაცია 3 მარტს საფრანგეთში, ლიონში იგეგმება. „აქციის მონაწილეები გააპროტესტებენ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან დისკრიმინაციას, რომელიც ბოლო პერიოდში სომხების მიმართ გახშირდა,“- ნათქვამია სომხური დიასპორის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში. მათი განცხადებით, სომხური დიასპორას გარდა, საქართველოს ხელისუფლების ქმედებებმა აღამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებიც აღაშფოთა.“

5. გაზეთ „რეზონანსის“ (№048 (6274); 25 თებერვალი, 2010) სტატია „სომხური პრესა: სომხებს აფხაზეთიდან აძევებენ“ ეთნიკური უმცირესობის პრობლემის ნეიტრალური გაშუქების მაგალითია.

„აფხაზეთში ეთნიკური სომხების შევიწროვებაზე საუბრობს საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი ვან ბაიბურთი, თუმცა ამბობს, რომ ამ პროცესმა აქტიური სახე ჯერ კიდევ წლების წინ მიიღო.“

ცნობები აფხაზეთში ეთნიკური სომხების შევიწროვების შესახებ სომხურმა გამოცემა „გრაპაკმა“ გუშინ გაავრცელა.

„აფხაზეთში დიდი სომხური დიასპორაა, ისინი მოსახლეობის 30%-ს შეადგენენ. ბოლო პერიოდში კი მათი მისამართით ზეწოლა გაძლიერდა. რუსეთის მხრიდან მხარდაჭერილი აფხაზეთი სომხეთისგან აღიარებას ითხოვს, სხვა შემთხვევაში, სოხუმის ხელისუფლება ეთნიკურ სომხებს აფხაზეთში ცხოვრების უფლებას აღარ მისცემს“, წერს გამოცემა.“

6. ნეიტრალურად აშუქებს გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“ (№05 (273); 22 თებერვალი, 2010) ეთნიკური უმცირესობებს სტატიაში „აფხაზეთი დევნილების თვალით“;

7. ეთნიკური უმცირესობის პრობლემების ნეიტრალური გაშუქების მაგალითია, ასევე, გაზეთ „სამხრეთის კარიბჭის“ (№05 (273); 22 თებერვალი, 2010) სტატია „ერევანში ჯავახეთის პრობლემა კვლავ აქტუალურია“.

თბილისი, საქართველო, მედიის განვითარების ფონდი 2010



პროექტი ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) პროგრამის “ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში” ფარგლებში შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების (USAID) სააგენტოს დაფინანსებით.